

gPower

დოკუმენტის ტიპი: ინსტრუქცია
Type of Document: **Instruction**

შრომის უსაფრთხოების ინსტრუქცია ხელის ელექტრო ინსტრუმენტებით
სარგებლობის დროს

Labor safety instruction during the work ith the manual electric tools

1. შესავალი დებულებები:

1.1. მიზანი

წინამდებარე ინსტრუქციის მიზანს წარმოადგენს ელექტროინსტრუმენტებით მუშაობისას უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვა.

1.2. დოკუმენტებთან კავშირი

წინამდებარე ინსტრუქცია შესაბამისობაშია კომპანიის წესდებასთან, უსაფრთხოების ტექნიკის წესებთან ელექტროდანადგარების ექსპლუატაციისას (საქართველოს მთავრობის 2013 წლის 17 დეკემბრის დადგენილება #340), ელექტროსადგურებისა და ქსელების ტექნიკური ექსპლუატაციის წესებთან (საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის დადგენილება #434).

1.3. მოქმედების სფეროს განსაზღვრა

ინსტრუქცია სავალდებულოა ჰიდროელექტროსადგურების ყველა პერსონალისათვის, რომლებიც მონაწილეობენ წინამდებარე ინსტრუქციით გათვალისწინებულ პროცესებში.

2. ძირითადი ტერმინების განმარტება

2.1. კომპანია – შპს „ჯიფაუერი“

2.2. ელ.ინსტრუმენტი - ელექტროინსტრუმენტი

3. შრომის დაცვის ინსტრუქცია ხელის ელექტრო ინსტრუმენტებით სარგებლობის დროს

3.1. უსაფრთხოების საერთო მოთხოვნები.

3.1.1. ელექტროინსტრუმენტებთან დამოუკიდებლად სამუშაოდ დაიშვებიან ის პირები რომლებსაც გავლილი აქვთ: შესავალი ინსტრუქტაჟი; სახანძრო უსაფრთხოების ინსტრუქტაჟი; პირველადი ინსტრუქტაჟი სამუშაო ადგილზე;

3.1.2. ელექტროინსტრუმენტებით მომუშავე პერსონალს სამუშაო ადგილზე გეგმიური ინსტრუქტაჟი უტარდებათ არანაკლებ 3 თვეში ერთხელ; ხოლო არაგეგმიური ინსტრუქტაჟი: ტექნოლოგიური პროცესების ან უსაფრთხოების წესებში რაიმე სახის ცვლილების დროს, მოწყობილობა დანადგარების, სამარჯვებისა და ინსტრუმენტების შეცვლის ან მოდერნიზაციის დროს, შრომის ორგანიზაციისა და პირობების შეცვლის დროს, შრომის დაცვის ინსტრუქციების დარღვევისას, მუშაობის პერიოდში 60 კალენდარულ დღეზე მეტით შესვენებისას.

3.1.3. ელექტროინსტრუმენტებით მომუშავე პერსონალი ვალდებულია:

3.1.6.1. დაიცვას კომპანიის შინაგანაწესი, კომპანიაში მოქმედი წესები და ინსტრუქციები;

3.1.6.2. დაიცვას მოწყობილობის ექსპლუატაციის მოთხოვნები; დანიშნულებისამებრ გამოიყენოს და გაუფრთხილდეს მიღებულ დაცვის ინდივიდუალურ საშუალებებს;

3.1.6.3. იცოდეს ხანძარქრობის პირველადი საშუალებების, მთავარი და დამხმარე გასასვლელების ადგილმდებარეობა, ევაკუაციის გზები ავარიასა თუ ხანძრის დროს;

3.1.6.4. უბედური შემთხვევის დროს ექიმის მოსვლამდე დაზარალებულს აღმოუჩინოს პირველადი დახმარება, მომხდარის შესახებ დაუყონებლივ შეატყობინოს უშუალო უფროსს ან ზემდგომ

ხელმძღვანელს; მიიღოს ზომები, რათა შეინარჩუნოს არსებული მდგომარეობა (მოწყობილობა-დანადგარების), თუ იგი საფრთხეს არ უქმნის გარშემომყოფებს;

3.1.6.5. დეფექტებიანი დამცავი საშუალებები, ხელსაწყოები, ინსტრუმენტები და სამარჯვები აუცილებელია ამოღებულ იქნას ხმარებიდან და ამის შესახებ შესახებ ეცნობოს უშუალო ხელმძღვანელს.

3.1.6.6. ამაღლებული დონის ხმაურისას გამოყენებულ უნდა იქნას ხმაურსაწინააღმდეგო ყურსაცმები ან საფენები.

3.1.6.7. არსებობს I, II და III კლასის ელექტროინსტრუმენტები. I კლასის ელ ინსტრუმენტი გამოყენებული უნდა იქნას მხოლოდ ისეთი ტიპის სათავსოში, სადაც არ არის მომეტებული საფრთხე, II კლასის - მომეტებული საფრთხის მქონე სათავსოებში და მის გარეთ, III კლასი - განსაკუთრებულად საშიშ სათავსოებში და არახელსაყრელ პირობებში (ქვაბები, ბაკები და ა.შ).

3.1.6.8. დაუშვებელია ელ.ინსტრუმენტის ექსპლუატაცია ფეთქებადსაშიშ სათავსოებში ან ქიმიურად აქტიურ სათავსოებში.

3.1.6.9. ელ. ინსტრუმენტით მუშაობა მიყუდებული კიბეებით აკრძალულია.

3.2. უსაფრთხოების მოთხოვნები სამუშაოს დაწყებამდე

3.2.1. სამუშაოს დაწყებამდე ელექტროინსტრუმენტებით მომუშავე პერსონალი ვალდებულია:

3.2.1.1. წესრიგში მოიყვანოს სპეცტანსაცმელი, შეიკრას ყველა დილი. ტანსაცმელი გაისწოროს ისე, რომ არ იყოს ჩამოკიდებული ბოლოები. არ გადაიკეცოს სპეცტანსაცმლის სახელოები. დაიხუროს თავსაბურავი.

3.2.1.2. შეამოწმოს დეტალების კომპლექტაცია და საიმედოობა; დამაკავშირებელი კაბელისა და ელ.ჩანგლის გამართულობა, კორპუსის მაიზოლირებელი დეტალების მთლიანობა, დამცავი გარსაცმის არსებობა და მათი გამართულობა; რედუქტორის გამართულობა (ბრუნვა გამორთულ მდგომარეობაში); მუშაობა უქმ სვლაზე; დამიწების კონტურის გამართულობა ინსტრუმენტის კორპუსსა და შტეფსელის ელ.ჩანგლის დამამიწებელ კონტაქტს შორის. (I კლასის ინსტრუმენტისათვის)

3.2.1.3. გაათავისუფლოს სამუშაო ადგილი გარეშე საგნებისაგან (დეტალები, კვანძები, სამშენებლო მასალები და ა.შ)

3.2.1.4. მაღლივი სამუშაოების შესრულებისას მოითხოვს ხარაჩოების მოწყობა შემოღობვითი კონსტრუქციებით.

3.2.1.5. შეამოწმოს მუშა ინსტრუმენტის გამართულობა, მასზე არ უნდა იყოს ბზარები და ხიჭვები.

3.2.1.6. დარწმუნდეს დამცავი გარსაცმის არსებობაში, რომლითაც შემორაგულია 40 მმ და მეტი დიამეტრის სალესი რგოლები. გარსაცმი უნდა იყოს ფურცლოვანი თუნუქის. გარსაცმის კუთხის განშლა არ უნდა აღემატებოდეს 90°.

3.2.2. თუ მუშაობა გიწევთ დახურულ ჭურჭელში (მოცულობაში) დარწმუნდით რომ კვების წყარო (ტრანსფორმატორი, გარდამქმნელი და აშ) იმყოფება მოცულობის გარეთ და მეორადი წრედი დაუმიწებელია.

3.3. უსაფრთხოების მოთხოვნები მუშაობის დროს.

3.3.1. ელექტრული კვების წყაროსთან ელ.ინსტრუმენტის მიერთება განხორციელდეს მხოლოდ, შტეფსელური შეერთებით.

3.3.2. მუშა ინსტრუმენტის დაყენება და შეცვლა, საცმების დაყენება უნდა მოხდეს შტეფსელიდან გამოერთებულ ინსტრუმენტზე

3.3.3. ელ. ხელსაწყოთა კაბელი დაცული იყოს შემთხვევითი დაზიანებისაგან. ამისათვის კაბელი უნდა იმყოფებოდეს 2.5 მ დაკიდებულ სიმძლავრეზე, საფეხმავლო გასასვლელებზე 3.5 მეტრზე, ხოლო ტრანსპორტის გასასვლელებზე - 6 მ-ზე.

3.3.4. კაბელები და მავთულები არ უნდა ეხებოდეს ლითონის, ცხელ, ნესტიან და ზეთიან ზედაპირებს ან საგნებს.

3.3.5. დაუშვებელია კაბელის დაჭიმვა ან გადაგრეხვა, აგრეთვე კაბელზე ტვირთის დადება.

3.3.6. ელ.ინსტრუმენტი ჩაირთოს მხოლოდ მისი მუშა მდგომარეობაში დაყენების შემდეგ.

3.3.7. ელ ინსტრუმენტი არ უნდა გადაეცეთ პირებს, რომელთაც არა აქვთ მათი გამოყენების უფლება.

3.3.8. სხვა სამუშაოზე გადასვლისას გამორთეთ ელ ინსტრუმენტი შტეფსელიდან ელ ჩანგლის ამორთვით. გადაიტანეთ ელექტროინსტრუმენტი მხოლოდ სახელურით.

3.3.9. ნებისმიერი შესვენებისას ელ.ინსტრუმენტი უნდა გამოირთოს შტეფსელიდან.

3.3.10. დაიცავით ელ.ინსტრუმენტი დარტყმისაგან დავარდნისაგან, შიგა ნაწილში წყლისა და ჭუჭყის მოხვედრისაგან.

3.3.11. ელექტრომზურღავ მანქანაზე მუშაობისას გამოიყენეთ საყრდენი კავები (უნდა იყოს საკმარისად მედეგი, არ უნდა ჰქონდეთ დაზიანებული ხრახნი)

3.3.12. ელექტრული მზურღავი მანქანით გრძელი ბურღით მუშაობისას ქსელიდან გამოირთოს ამომრთველით ბურღის ნახვრეტიდან ბოლომდე ამოღებამდე.

3.3.13. აბრაზიული თვლებით მუშაობისას უნდა დარწმუნდეთ, რომ ისინი გამოცდილია სიმტკიცეზე, მიაქციეთ ყურადღება, რომ ნაპერწკლები არ ცვიოდეს თქვენსკენ. გარშემომყოფებზე და კაბელზე.

3.3.14. თვალი ადევნეთ რომ თქვენი სპეცტანსაცმელი მუშაობის პერიოდში არ ეხებოდეს მბრუნავი ელ.ინსტრუმენტის ნაწილებს. არ გააჩეროთ მბრუნავი მუშა ინსტრუმენტი ხელებით.

3.3.15. ინდივიდუალური დაცვის საშუალებების მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში- შეაჩერეთ მუშაობა.

3.3.16. მუშაობის პროცესში ყურადღება მიაქციეთ ელ.ინსტრუმენტის გამართულობას.

3.3.17. უსაფრთხოების მოთხოვნები ავარიულ სიტუაციაში

3.3.17.1. იმ შემთხვევაში თუ ელ ინსტრუმენტზე დაფიქსირდა რაიმე სახის გაუმართაობა, დაუყონებლივ შეწყვიტეთ მუშაობა, გამორთეთ და გადაეცით ელ მონტიორს რემონტისათვის.

3.3.17.2. დაუშვებელია ელ ინსტრუმენტის გამოყენება თუ მუშაობისას დაფიქსირდა ჩამოთვლილი გაუმართაობიდან ერთ-ერთი: დაზიანდა შტეფსელური შეერთება, დაზიანდა მუსის დამჭერის სახურავი, გამომრთველის არაგამართული მუშაობა, მუსების ნაპერწკლიანობა კოლექტორზე, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს წრიული ნაპერწკალი, რედუქტორიდან ზეთის გამოჟონვა, იზოლაციის დამწვრობის სუნის გამოყოფა, ხმაურის მომატება მუშაობისას (ვიბრაცია), ბზარების გაჩენა კორპუსზე, სახელურზე, დამცავ ზღუდარზე, გამოირთოს ქსელიდან შტეფსელური ჩანგლით.

3.3.17.3. მუშა ინსტრუმენტის დაზიანებისას დაუყონებლივ შეწყვიტეთ მუშაობა. გამორთეთ ინსტრუმენტი ქსელიდან ჩამრთველით და გათიშეთ შტეფსელიდან ელ ჩანგლით.

3.3.17.4. ელ ენერჯის მოულოდნელი შეწყვეტისას ელ ინსტრუმენტი გათიშეთ ჩამრთველის საშუალებით.

3.3.17.5. ძაბვის აღმოჩენის შემთხვევაში (დენის შეგრძნება) აუცილებელია დაუყონებლივ გამოირთოს ელ ინსტრუმენტი ჩამრთველით და გამოირთოს ელ ჩანგალი შტეფსელიდან.

3.3.17.6. ხანძრის გაჩენის შემთხვევაში: დაუყოვნებლივ შეწყვიტეთ მუშაობა, გამორთეთ ელ ინსტრუმენტი შტეფსელიდან. გააუდენურეთ ინსტრუმენტი საამქროს ელჩამრავის გამორთვით; აცნობეთ ყველა მომუშავეს და გაატარეთ ხანძრის ქრობის ღონისძიებები. გახსოვდეთ რომ გაყვანილობაში გაჩენილი ხანძარი (ძაბვის ქვეშ მყოფი) უნდა ჩავაქროთ ნახშირმჟიანი ცეცხლმაქრებით; მიიღეთ ზომები სამუშაოთა ხელმძღვანელის ადგილზე გამომახებისათვის.

3.3.17.7. უბედური შემთხვევისას აუცილებელია დაზარალებულის გათავისუფლება ძაბვისაგან, პირველადი ექიმამდელი დახმარების ჩატარება, მომხდარის შესახებ ეცნობოს ზემდგომ ხელმძღვანელობას.

3.4. უსაფრთხოების მოთხოვნები სამუშაოს დამთავრების შემდეგ

3.4.1. სამუშაო დღის დამთავრებისას ელ.ინსტრუმენტების მომსახურე პერსონალმა წესრიგში უნდა მოიყვანოს ყველა ინსტრუმენტი, სამარჯვები, ხელსაწყოები და დამცავი საშუალებები; მოახსენოს უშუალო სამუშაოთა მწარმოებელს მუშაობის პროცესში დაფიქსირებულ გაუმართაობაზე.